

ეროვნული პროფესიული საბჭოს

სხდომის ოქმი 16.12.2013

შეხვედრის ადგილი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შეხვედრის მონაწილეები:

№	სახელი, გვარი	თანამდებობა
1.	თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
2.	ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
3.	მიხეილ ჯანელიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
4.	თეა გულუა	საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
5.	ნიკოლოზ მესხიშვილი	სოცილური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი
6.	მარინა ჟვანია	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათების აღარების სამსახურის უფროსი
7.	პაპუნა შენგელაია	ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახემწიფრო მინისტრის აპარატის უფროსი
8.	მიხეილ კორძაძია	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
9.	ნათელა პაპუნაშვილი	პროფესიული კოლეჯი "აისი"
10.	მარინა ქვარიაძე	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
11.	გივი კახიშვილი	შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი
12.	ჟაკო ჯორჯაძე	საქართველოს ბარმენტთა ასოციაციის პრეზიდენტი
13.	ლიანა ზამბახიძე	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
14.	შორენა ჯაფარიძე	დამოუკიდებელი ექსპერტი
15.	დანელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
16.	ქეთევან ჯაყელი	მუნიციპალური მომსახურების უზრუნველყოფის ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი
17.	თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
18.	თამარ სამხარაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი
19.	ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში
20.	ლალი დოლობერიძე	საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მას შემდეგ რაც საბჭოს წევრების რაოდენობით ქვორუმი შედგა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა საბჭოს მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც მოიცავდა ორ საკითხს:

1. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა
2. ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამა

ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ სტრატეგია მრავლჯერაა განხილული სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, სამინისტროებთან, სოციალურ პარტნიორებთან და მათი შენიშვნებიც ასახულია სტრატეგიაში, თუმცა აუცილებელია საბჭოსთან მოხდეს საბოლოო ვერსიის წარდგენა, რომ სამინისტრომ სტრატეგიის შეთანხმებული დოკუმენტი გააგზავნოს მთავრობაში დასამტკიცებლად.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა თხოვნით მიმართა ქალბატონ ქეთევან ნატრიაშვილს, რომ საბჭომ განიხილოს და კენჭი უყაროს მის მიერ ინიცირებულ შემდეგ საკითხებს:

1. 2014 წელი გამოცხადდეს პროფესიული განათლების წლად;
2. ეროვნული პროფესიული საბჭოს ქუდქვეშ შეიქმნას მერვე თემატური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს საკანონმდებლო ცვლილებებზე;

ქალბატონმა თამარ სამხარაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის შესახებ და ხაზი გაუსვა, რომ სტრატეგია შემუშავებულია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტების, სოციალური პარტნიორების, სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით. სტრატეგია მოიცავს 2013-2020 წლებს, ხოლო მისი სამოქმედო გეგმა 2013-2017 წლებს, სადაც 2013-2014 წლის აქტივობები უფრო დეტალურადაა ჩაშლილი, ხოლო 2015-2017 წლების აქტივობები საჭიროებს კიდევ უფრო მეტ კონკრეტიკასა და დეტალიზებას. თუმცა, სტრატეგიის დოკუმენტი მზად არის უკვე დასამტკიცებლად ვინაიდან დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მრავალჯერ არის განხილული აღნიშნული დოკუმენტი, ასევე, გამოქვეყნებული იყო სამინისტროს ვებ გვერდზე და მხარეების მიერ წარმოდგენილი ყველა შენიშვნა განხილულია და შეძლებისდაგვარად ასახულია დოკუმენტში.

ქალბატონმა თამარ სამხარაძემ საბჭოს ფორმატიდან გამომდინარე მოკლედ წარმოადგინა სტრატეგიის ძირითადი აქცენტები, მისი ზოგადი და კონკრეტული მიზნები და აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების წინა სტრატეგიისგან განსხვავებით, აღნიშნულ სტრატეგიაში ცალსახად ხაზგასმულია შრომის ბაზრისა და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის თემატიკა. ასევე, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია ეფუძნება ევროკავშირის სტრატეგიას - „ბრუნეს კომუნიკე 2020“ და აქედან გამომდინარე სტრატეგიაში გამოკვეთილია 7 ძირითადი გამოწვევა, შესაბამისად 7 ძირითადი პრიორიტეტი და მისაღწევი შედეგი, რასთან დაკავშირებითაც გამომსვლელობა დეტალურად ისაუბრა.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელმა, ბატონმა მიხეილ კორმახიამ იკითხა სტრატეგიაში განხორციელებული ცვლილებები ხომ არ შეეხო ფუნდამენტურ საკითხებს, რაზეც ქალბატონმა თამარ სამხარაძემ უპასუხა, რომ მხოლოდ ტექნიკური სახის ცვლილებები განხორციელდა, რაც ეხებოდა ვადებს, აქტივობების გამსხვილებასა თუ დეტალიზებას.

ბატონმა დანიელ დავითაშვილმა პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის დოკუმენტთან დაკავშირებული შენიშვნები წერილობითი ფორმით წარუდგინა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტს და აღნიშნა, რომ საჭიროა მოხდეს დონორი ორგანიზაციების დაკონკრეტება სტრატეგიაში, რათა სოციალურ პარტნიორებს ჰქონდეს ინფორმაცია, ამა თუ იმ აქტივობის განხორციელებაზე რომელი კონკრეტული დონორი ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას. ასევე, დაამატა, რომ სხვადასხვა აქტივობებში გამორჩენილია სოციალური პარტნიორების მონაწილეობა და საჭიროა აისახოს ეს შენიშვნა სტრატეგიაში და შესაბამისად სამოქმედო გეგმაში. ბატონი დანიელ დავითაშვილის მოსაზრებით, ვინაიდან არსებობს ორი სამთავრობო სამმხრივი კომისია, საჭიროება აღარ დგას მესამე კომისიის შექმნის. ბატონმა დანიელ დავითაშვილმა, ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა თუ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები გაზიარებული იქნებოდა სოციალურ პარტნიორებთან. და ბოლოს, მისი აზრით სტრატეგიას დამტკიცებამდე უნდა ახლდეს თან ექსპერტთა დასკვნა, რაზეც ქალბატონმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ექსპერტები, ამიტომ დამატებით აღარაა საჭირო ექსპერტების მიერ დასკვნების მომზადება.

ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ მხოლოდ სტრატეგია დამტკიცდება, ვინაიდან სამოქმედო გეგმა სამინისტროს შიდა დოკუმენტია და მთავრობის მიერ დამტკიცების აუცილებლობა არაა, რაზეც ბატონმა დანიელ დავითაშვილმა და მიხეილ ჯანელიძემ (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე) გამოთქვეს მოსაზრება, რომ უმჯობესია მთავრობის მიერ დამტკიცდეს ორივე დოკუმენტი. ბატონმა დანიელმა აღნიშნა, რომ წლების მიხედვით უნდა მოხდეს აქტივობების განფასება და ამის მიხედვით სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლების ბიუჯეტის განსაზღვრა. და აქვე, ბატონმა დანიელმა ხაზი გაუსვა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში ადამიანური რესურსის რაოდენობის გაზრდას. მისი თქმით, დეპარტამენტში არსებული ადამიანური რესურსი არ არის საკმარისი იმ აქტივობების განსახორციელებლად, რაც დეპარტამენტს აკისრია და ასევე, დამატებითი ადამიანური რესურსის არსებობა ასევე ხელს შეუწყობს სტრატეგიის ამბიციური სამოქმედო გეგმის სრულფასოვნად განხორციელებას.

ქალბატონმა თამარ სანიკიძემ ქალბატონ თამარ სამხარაძეს სთხოვა მეტი აქცენტი გაეკეთებინა თუ რა იგეგმება პროფესიული განათლების მასწავლებლის განვითარების მიმართულებით, რაზეც ქალბატონმა სამხარაძემ აღნიშნა, რომ მასწავლებლის სახლთან აქტიური თანამშრომლობით მუშავდება პროფესიული მასწავლებლის განვითარების ჩარჩო და ასევე ამ თემატიკაზე მუშაობა მიმდინარეობს UNDP-ის პროექტის ფარგლებშიც. ქალბატონი თამარ სანიკიძის თქმით აუცილებელია კონკრეტული გეგმა/სქემა მივაწოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ექსპერტებს გაუჭირდებათ ამ საკითხის ჩამოყალიბება თუ არ ექნებათ სამინისტროსგან

კონკრეტული ხედვა და დეპარტამენტს სთხოვა მუშაობის პროცესში მოხდეს სკოლის მაგალითზე მასწავლებელთა განვითარების სქემის ანალიზი და გათვალისწინება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის შემთხვევაში.

გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საჭიროა მასწავლებელთა იდენტიფიცირება და მათთვის პროფესიული უნარების განვითარების კომბინირებული სქემის შეთავაზება.

ქალბატონი თამარ ქიტიაშვილის მოსაზრებით საფრთხეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის მასწავლებელი შეიძლება იყოს ბიზნესიდან წამოსული სპეციალისტი, რომელსაც გრძელვადიან გადასამზადებელ პროგრამას ვერ შევთავაზებთ. ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია შვეიცარიის გამოცდილების გაზიარება მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიმართულებით, სადაც ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არჩევითი 26 კრედიტიანი მოდული, რომლის ათვისების შემთხვევაში პირს ენიჭება შესაბამისი მიმართულებით პროფესიული მასწავლებლის კვალიფიკაცია.

კაჭრეთის საზოგადოებრივი კოლეჯის „ასი“ დირექტორმა ქალბატონმა ნათელა პაპუნაშვილმა აღნიშნა, რომ საკმაოდ კარგად მუშაობს მენტორი მასწავლებლის არსებობა კოლეჯში, ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ GIZ-ის ფარგლებში მოხდა მენტორი მასწავლებლების გადამზადება და თითოეულ კოლეჯში წარმოდგენილია თითო მენტორი მასწავლებელი.

კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმაც ხაზი გაუსვა მასწავლებლებისა და პროფესიონალი კადრების არ არსებობის პრობლემას და აღნიშნა, რომ საჭიროა მასწავლებლის სტანდარტის მომზადება.

ქალბატონმა სანიკიძემ ასევე გაამახვილა ყურადღება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე და ვადებზე, თუ როდის მოხდება პილოტირება მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების.

საბჭოს დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიის სამოქმედო გეგმა კარგად არის გაწერილი, თითქმის ყველა წარმოდგენილი კომენტარი თუ შენიშვნა ასახულია დოკუმენტში. რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ მოდულების შემუშავებით დაწყებული საქმე ძალიან მნიშვნელოვანია და ძალიან კარგად კეთდება ყველაფერი, თუმცა სანამ პილოტირების პროცესი დაიწყება, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოხდეს არსებული სიტუაციის გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ პილოტირების დაწყება.

მას შემდეგ რაც კითხვები ამოიწურა სტრატეგიის საკითხთან დაკავშირებით, საბჭოს კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყდა დოკუმენტის გაგზავნის მზაობა მთავრობაში დასამტკიცებლად.

შემდეგი საკითხი, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის საბიუჯეტო დახმარების პროგრამას, წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსმა - ბატონმა ნიკოლოზ მესხიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს პროექტი ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა

და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიებსა და ხედვებს.

ქალბატონმა ნინო ყოჩიშვილმა აღნიშნა, რომ პოლიტიკის მატრიცით გათვალისწინებული პირობების შესრულებას შეაფასებენ ევროკავშირის მიერ დაქირავებული ექსპერტები და სწორედ ამის მიხედვით მოხდება ტრანშის გადმორიცხვა.

და ბოლოს, საბჭომ განიხილა ბატონი დანიელ დავითაშვილის მიერ ინიცირებულ საკითხები: თემატურ ჯგუფთან დაკავშირებით, ქალბატონმა ქეთევან ნატრიაშვილმა უპასუხა, რომ სანამ არ მოხდება საბჭოს კონცეფციის ჩამოყალიბება და მისი რეორგანიზაცია, მანამდე ახალი თემატური ჯგუფის ჩამოყალიბება მიზანშეწონილი არ იქნება. აქვე ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა დასძინა, რომ უკვე შეიქმნა საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაც დამტკიცდება მინისტრის ბრძანებით. რაც შეეხება 2014 წლის პროფესიული განათლების წლად გამოცხადებას, საბჭოს კენჭისყრის საფუძველზე უმრავლესობა დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას, თუმცა ქალბატონი ქეთევან ნატრიაშვილის თქმით კენჭისყრას იურიდიული ძალა არ გააჩნია.

სხდომა შეჯამდა და დახურულად გამოცხადდა.